

სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის დებულება

ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე (შემდგომში - სასახლე), შესაბამისი პარტნიორი ორგანიზაციის/ორგანიზაციების მხარდაჭერით საგანმანათლებლო აქტივობებში მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობის გაზრდისა და სასახლის წინაშე არსებული არაფორმალური საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისათვის პერიოდულად ატარებს სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციას (შემდგომში - კონფერენცია).

მუხლი 1. კონფერენციის მიზანი

კონფერენციის მიზანია:

- 1.1. მოსწავლე-ახალგაზრდობაში განათლების ხელშეწყობა;
- 1.2. მიღებული ცოდნის, დამოუკიდებელი მუშაობისა და ინფორმაციის სინთეზის უნარების განვითარება;
- 1.3. მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტერესის გაძლიერება მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგის დასაუფლებლად;
- 1.4. სამეცნიერო, საკვლევო ხასიათის ექსპერიმენტების, გამოგონებების, საინჟინრო მოდელებისა და ნიმუშების დამზადების ჩვევების განვითარება;
- 1.5. მოსწავლე-ახალგაზრდობაში შემოქმედებითობის, კვლევის, საჯარო გამოსვლისა და პრეზენტაციის უნარების განვითარებას;

მუხლი 2. კონფერენციის მართვა და ძირითადი წესები

- 2.1. კონფერენცია ტარდება ქართულ ენაზე;
- 2.2. კონფერენციის ჩატარების მიზნით ეროვნული სასახლის დირექტორი, შესაბამისი ბრძანებით ამტკიცებს კონფერენციის საორგანიზაციო, შემფასებელ და სააპელაციო კომისიებს.
- 2.3. კონფერენციის გამართულად ჩატარებას უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომისია, რომელიც უფლებამოსილია შეაფასოს მიღებული ნაშრომთა შესაბამისობა ამ დებულებით განსაზღვრულ წესებთან, კრიტერიუმებთან თანხვედრა და უზრუნველყოს წარმოდგენილი ნაშრომთა კოდირება(იხ.დანართი N1).
- 2.4. კონფერენციის შემფასებელი კომისია უზრუნველყოფს ნაშრომთა შეფასებას ამ დებულებისა და დანართი N 2-ით გაწერილი კრიტერიუმების შესაბამისად.
- 2.5. კონფერენციის სააპელაციო კომისია განიხილავს სააპელაციო საჩივრებს და ამზადებს არგუმენტირებულ დასკვნას ამ დებულებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.
- 2.6. კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლია 12-18 წლის ნებისმიერ ახალგაზრდას.

მუხლი 3. კონფერენციის ეტაპები და ვადები

3.1 კონფერენცია ტარდება 3 ეტაპად:

- 3.1.1. კონფერენციის პირველი ეტაპის დაწყების/დასრულების თარიღს განსაზღვრავს სასახლის დირექტორი შესაბამისი ბრძანების საფუძველზე. კონფერენციის პირველი ეტაპი გულისხმობს ნაშრომის მიღებას, შეფასებასა, მონაწილეებისათვის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და აპელაციას.

3.1.2 კონფერენციის მეორე ეტაპის დაწყების/დასრულების თარიღს განსაზღვრავს სასახლის დირექტორი შესაბამისი ბრძანების საფუძველზე. სასახლის გადაწყვეტილების საფუძველზე, მეორე ეტაპზე გადასული მონაწილეები ნაშრომს დაიცავენ დისტანციურად ან სასახლეში დამოუკიდებელი კომისიის წინაშე.

3.1.3. კონფერენციის მესამე ეტაპის დაწყების/დასრულების თარიღს განსაზღვრავს სასახლის დირექტორი შესაბამისი ბრძანების საფუძველზე. მესამე ეტაპი გულისხმობს მონაწილეთა დაჯილდოებას თითოეულ სექციაში პირველი და მეორე ადგილის მფლობელებისთვის.

მუხლი 4. მოთხოვნები საკონფერენციო ნაშრომისადმი

4.1. ეროვნული სასახლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე ყოველწლიურად დამტკიცდება საკონფერენციო თემატიკა.

4.2. საკონფერენციო ნაშრომის მომზადება მოიცავს ავტორის მიერ შესაბამისი სექციის მიხედვით თემის შერჩევას, ხელმძღვანელთან კონსულტაციებსა და/ან დამოუკიდებელ მუშაობას, განსახილველ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებას.

4.3. კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომი ან/და აპელაცია იგზავნება ელექტრონულ მისამართზე: registration.youthpalace.ge განთავსებული სარეგისტრაციო ფორმის საშუალებით.

4.3. კონფერენციაზე წარდგენილი ნაშრომი ჩაითვლება მიღებულად სარეგისტრაციო ფორმის სათანადოდ შევსების, გაგზავნისა და მონაწილის მიერ მითითებული ელექტრონულ ფოსტაზე მიღებული დამადასტურებელი შეტყობინების შემდეგ.

4.5. კონფერენციაზე წარდგენილ ნაშრომს შესაძლებელია ჰყავდეს ერთი ავტორი ან ორი ავტორი. ორი ავტორის არსებობის შემთხვევაში, ნაშრომში გამოკვეთილი უნდა იყოს თითოეული ავტორის თანამონაწილეობის როლი.

მუხლი 5. კონფერენციაში ნაშრომთა შერჩევისა და შეფასების პროცედურა.

5.1. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველის მიერ გამოგზავნილ ნაშრომს ამოწმებს საორგანიზაციო კომისია. ნაშრომის განსაზღვრულ წესებთან, კრიტერიუმებთან თანხვედრის დადასტურების შემდეგ, საორგანიზაციო კომისია უზრუნველყოს წარმოდგენილ ნაშრომთა კოდირებას (იხ.დანართი N 2).

5.2. კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომები შეფასდება შემფასებელი კომისიის მიერ, ამ დებულებისა და დანართი N 1-ით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

5.3. კონფერენციაზე წარმოდგენილი ავტორთა ნაშრომები, პირველ ეტაპზე შეფასდება არაუმეტეს 80 ქულით. კონფერენციის მეორე ეტაპზე დაიშვება 71–80 ქულით შეფასებული ნაშრომები.

5.4. მეორე ეტაპზე ნაშრომების დაცვა ხდება შემფასებელი კომისიის წინაშე(კონფერენციის საორგანიზაციო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად დასაშვებია ონლაინ ფორმატი).

5.5. მეორე ეტაპზე გადასული ნაშრომების მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 20 ქულით.

5.6. ავტორ(ებ)ი, რომლებიც მიიღებს/მიიღებენ ყველაზე მაღალ შეფასებას პირველ და მეორე ეტაპზე, ხდებიან შესაბამის სექციაში პირველი და მეორე ადგილის მფლობელები.

5.7. სექციაში საუკეთესო ნაშრომების ავტორები დაჯილდოვდებიან სექციიდან ერთი პირველი და ერთი მეორე ხარისხის დიპლომებით. მეორე ეტაპის სხვა მონაწილეებს გადაეცემათ სიგელები.

5.8. კონფერენციის შემფასებელი კომისიის წარდგინებისა და სასახლის დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია დამატებით სიგელებისა და ჯილდოების გაცემა.

5.9. სასახლე უფლებამოსილია კონფერენციის შეფასების შედეგად მიღებული ქულები გამოქვეყნოს და ასეთის არსებობის შემთხვევაში, მონაცემები გამოქვეყნდება სასახლის ოფიციალურ ციფრულ პლატფორმებზე(ვებ-გვერდი, სოც. მედია ან/და სხვა).

5.10.ეროვნული სასახლე უფლებამოსილია, კონფერენციის მონაწილეებთან კომუნიკაციისათვის, აირჩიოს შეტყობინების სხვადასხვა ფორმები.

მუხლი 6. ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები.

6.1 მიღებულ ნაშრომთა განსაზღვრულ წესებთან, კრიტერიუმებთან თანხვედრას და წარმოდგენილ ნაშრომთა კოდირებას უზრუნველყოფს კონფერენციის საორგანიზაციო კომისია.

6.2. კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

6.2.1. თემის აქტუალობა, შემოქმედებითი მიდგომა და ორიგინალობა;

6.2.2. მოძიებული მასალისა და თემის კრიტიკული გააზრება;

6.2.3. ავტორისეული დამოკიდებულება, ხედვა და დასკვნა;

6.2.4. ბიბლიოგრაფიისა და გამოყენებული ლიტერატურის სრული ნუსხის მითითება;

6.3. ნაშრომი არ განიხილება და არ შეფასდება:

6.3.1 ნაშრომის არასწორ სექციაში გაგზავნის ან სექციის არ მითითების შემთხვევაში ნაშრომი არ განიხილება;

6.3.2 თუ ნაშრომი არ აკმაყოფილებს ამ დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

6.3.3 პლაგიატი პუბლიკაციებიდან, სახელმძღვანელოებიდან ან ინტერნეტ საიტებიდან.

6.3.4 წინა ან/და სხვა კონფერენციებში უკვე დამუშავებული თემები;

6.3.5. თუ ნაშრომის შინაარსი არ ემთხვევა კონფერენციის დადგენილ თემატიკას.

მუხლი 7. აპელაცია.

7.1. კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომების ქულების შეტყობინების/გამოქვეყნების შემდეგ, ავტორებს არგუმენტირებული (წერილობითი) აპელაციისთვის ეძლევათ 5 (სამუშაო) დღე, სასახლის ელექტრონული მისამართის registration.youthpalace.ge მეშვეობით.

7.2. სააპელაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე, შესაძლებელია თავდაპირველად მიღებული შეფასების როგორც გაზრდა, ისე შემცირება.

7.3. სააპელაციო კომისია ვალდებულია აპელაციების მიღების დასრულებიდან 5 (სამუშაო) დღის განმავლობაში პასუხი გასცეს სადავო ნაშრომის ავტორს.

მუხლი 8. კონფერენციის სექციები

8.1. კონფერენციის სექციები:

8.1.1. ქართული და მსოფლიო ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის სექცია;

8.1.2. მათემატიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სექცია (ინფორმატიკა, რობოტიკა);

8.1.3. ისტორიისა და ეთნოლოგიის სექცია;

- 8.1.4. გეოგრაფიისა და ტურიზმის სექცია;
- 8.1.5. ქიმიისა და ბიოლოგიის სექცია;
- 8.1.6. ფიზიკისა და ასტრონომიის სექცია;
- 8.1.7. საინჟინრო გრაფიკის, არქიტექტურისა და ინჟინერიის სექცია (გემთმშენებლობა, ავიამოდელირება, რადიოელექტრონიკა და სხვა);
- 8.1.8. სამართალმცოდნეობისა და საერთაშორისო ურთიერთობების სექცია;
- 8.1.9. ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის სექცია;
- 8.1.10. ხელოვნებათმცოდნეობის სექცია (სახელოვნებო კრიტიკა);
- 8.2. სასახლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შესაძლებელია დაშვებულ იქნეს ან/და გაუქმდეს დამატებითი სექციები.

სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე ნაშრომის წარდგენის წესი:

1. ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
2. ნაშრომის მოცულობა 5-15 გვერდი(A4 ფორმატი, ილუსტრაციების, ნახაზების, ნახატებისა და სხვათა გარეშე);
3. თემის დაფორმატებისას გამოიყენება შემდეგი პარამეტრები: შრიფტი - Sylfaen ან Calibri;
4. შრიფტის ფორმა და ზომა: სათაური - 14, გამუქებული და სწორი; ნაშრომის ტექსტი - 12 და სწორი;
5. ტექსტის კიდევები გასწორებულია ორივე მხარეს (Ctrl+J);
6. სტრიქონებს შორის დაშორება - 1.5;
7. სათაურსა და ტექსტს შორის დაშორება - 2 სტრიქონი;

სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

74-ე სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე წარმოდგენილ ნამუშევართა შემფასებლების დასახმარებლად:

1. ნაშრომი პირველ ეტაპზე ფასდება შემფასებელი კომისიის მიერ არაუმეტეს 80 ქულით
2. ფაქტობრივი მასალის ფლობა, პრობლემის ხედვა და ანალიზი-არაუმეტეს 20 ქულა
3. კვლევის, გამოგონების, მიგნების არსებობა-არაუმეტეს 25 ქულა
4. არგუმენტებისა და დასკვნების უნარი-არაუმეტეს 20 ქულა
5. ნაშრომის ენობრივი, ტექნიკური და სტილისტური გამართულობა-არაუმეტეს 15 ქულა

